კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ.ქ.ქუთაისის N17 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მე-8 [4] კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ო’ ჰენრის „მოგვების ძღვენი“ (O’ Henry “The Gift of The Magi)
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფ ინედ უს ვე ბგვე რდ ს)	• რას ნიშნავს დაზოგვა და როგორ დავზოგოთ თანხა? • რჩევები ფულის გონივრული მართვისთვის • პირადი ბიუჯეტის შედგენა პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი , პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით) . • ფინანსური მიზნების(გრძელვადიანი და/ან მოკლევადიანი) დასახვა

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	• ახალი მასალის მიწოდება • ახსნილი მასალის განხილვა • დისკუსია განხილული ნაწარმოების ირგვლივ • ფინანსური სახელმძღვანელოს დამუშავება • ნაწარმოების ალტერნატიული დასასრულის მოფიქრება ფინანსური განათლების ჭრილში • პრეზენტაცია
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	აღნიშნული ატივობას დაეთმო ორი გაკვეთილი (30 აპრილი-1 მაისი) სპეციალურად ამ კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებმა , ინგლისური ენის გაკვეთილზე, დაამუშავეს ო’ჰენრის ნაწარმოები „ მოგვების ძღვენი“ (“The Gift of the Magi) . გაკვეთილზე ასევე მოეწყო იმავე ნაწარმოების მიხედვით გადაღებული მულტფილმის ჩვენებაც. დამუშავებული ნაწარმოების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. გამოიკვეთა პრობლემა. აღნიშნული ტექსტის განხილვის შემდეგ , გაკვეთილზე მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად დაამუშავეს ფინანსური განათლების სახელმძღვანელო. ერთად იმსჯელეს ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა : • რას ნიშნავს დაზოგვა და როგორ დავზოგოთ თანხა? • რჩევები ფულის გონივრული მართვისთვის • პირადი ბიუჯეტის შედგენა • ფინანსური მიზნების(გრძელვადიანი და/ან მოკლევადიანი) დასახვა ამ ყველაფრის შემდეგ, ნაწარმოების განხილვისას წამოჭრილი პრობლემა მოსწავლეებმა დაუკავშირეს ფინანსური განათლების საკითხებს რომელიც მოიცავდა ისეთ თემებს როგორიცაა: ფული, დაზოგვა, პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი , პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით) . მომდევნო გაკვეთილი დაეთმო მოსწავლეების მიერ საშინაო დავალების პრეზნტაციასა და განხილვას . საშინაო დავალებას წარმოადგენდა დაეწერათ ნაწარმოების ალტერნატიული , უკეთესი დასასრული ფინანსური განათლების ჭრილში. მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი დავალებას, მათ მისცეს საშუალება მთავარ პერსონაჟებს, ჯიმისა და დელას ,ისე დაეგეგმათ თავიანთი ბიუჯეტი და გაეწერათ გრძელვადიანი ფინანსური მიზნები, რომ უპრობლემოდ შესძლებოდათ თავიანთი სასურველი საშობაო საჩუქრების შეძენა.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	შედეგი თვალსაჩინო იყო საშინაო დავალების პრეზენტაციისას.ჩინა გაკვეთილზე დამუშავებული „ფინანსური განათლების სახელმძღვანელოს“ მიხედვით , მოსწავლეები დაეხმარნენ მთავარ პერსონაჟებს, ჯიმისა და დელას , შეედგინათ პირადი ბიუჯეტი, ეწარმოებინათ ხარჯთაღრიცვა, პირად ბიუჯეტზე დაკვირვებით დაესახათ გრძელვადიანი მიზნები , გაწერილ ვადაში შეძლებოდათ კონკრეტული თანხის შეგროვება და სასურველი საჩუქრების ყიდვა ერთმანეთისთვის, ისე რომ ამისათვის თავიანთი ძვირფასი ნივთების გაყიდვა არ დასჭირვებოდათ.